№ 230 — 1877—1894 — № 230

კვირა, 30 ოქტომბერი 1894

# ივერია

გაზეთის ფასი:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

**მარიამ ესტატე ციციშვილის ასული მეშჩერსკისა** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა თავისის მეუღლის, ტფილისის გუბერნიის ბეითალისს სტატსკი' სოვეტნიკის, სახელმწიფო ცხენთა-მოშენების კორესპონდენტის **ნიკოლოზ ივანეს ძის მეშჩერსკის** გარდაცვალებასა და სთხოვს მობრძანდნენ კვირას, 30 ოქტომბერს, დილის 10 საათზედ, განსვენებულის სადგომში (რიყე, სახლი გვ[ა]იტაშვილისა) მიცვალებულის გვამის ჩვლდურეთის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში გასასვენებლად.

(2—1808—2

## „ივერია“
გამოდის 1894 წელს
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
სატელეგრ. ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

ორშაბათს, 31 ოქტომბერს, ნაშუადღევის პირველს საათზედ, სიონის საკათედრო ტაძარში გარდახდილ იქმნება პანაშვიდი აწ ღვთის მიერ განსვენებულის, ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე ალექსანდრეს ძის სულის მოსახსენებლად.

ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი აცნობებს რა ამას თავად-აზნაურობას გუბერნიისას, სთხოვს მობრძანდნენ პანაშვიდზედ დასასწრებლად.

(1—6.—1)

## ტფილისი, 30 ოქტომბერი

ევროპისა და მასთან მთელის რუსეთის ყურადღება მიპყრობილია ამ ჟამად რუსეთის ახალგაზდა ხელმწიფისაკენ. უფლება თვით მპყრობელობისა ისეთის თვისებისაა, რომ ახალის მეფის ტახტზე ასვლას არა თუ რუსეთისთვის, გარეშე სახელმწიფოთათვისაც-კი არსებითი მნიშვნელობა აქვს.

დღეს იმპერატორის ნიკოლოზისაგან არის დამოკიდებული ბედი და წარმატება რუსეთის ქვეყნებისა და მისგანვე არის დამოკიდებული ევროპის მშვიდობა. ამიტომ საგულისხმო იყო ის ინტერესი, რომლითაც მოელოდნენ ყველანი ახალგაზდა ხელმწიფის მანიფესტს, რომლისაგან შესაძლო იქნებოდა რაიმე გამორკვეულის აზრის შედგენა შემდეგის რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ. რუსეთის თვითმპყრობელმა წარმოსთქვა თავისი პირველი სიტყვა, როცა მშვიდობის მყოფელობის სურვილს აღიარებს; ხოლო კერძოდ რუსეთის ყველა ქვეშევრდომს ჰპირდება, რომ მათის ბედნიერებისა და წარმატებისთვის გულწრფელად იმაცადინებს. ასეთი სიტყვა მეფისა, რასაკვირველია, დიდი ნუგეშია რუსეთის ქვეშევრდომთათვის; ეს სიტყვა თავმდებია იმისი, რომ ახალგაზდა ხელმწიფის გული თანასწორად იზრუნებს ყველა ეროვნებისათვის, რომელნიც დღეს რუსეთის სახელმწიფოს ნაწილად გამხდარან.

ზოგიერთ რუსეთის მოღვაწეთ, რომელთაც კარგად ვერ შეუგნიათ, უთუოდ, უმაღლესი სურვილი და განზრახვა, საგულისხმოდ უნდა დაურჩეთ ხელმწიფის სიტყვა. ამიერიდგან მაინც მოელება ბოლო იმ წადილს, რომ ყველა ეროვნობის ბუნებრივი უფლება და საჭიროება ერთის რომელსამე ერის თავმოყვარეობას შეეწიროს. ამიერიდან ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოზის წყალობით საზღვარი დაედო ამ ვაჟბატონების უკეთურს მადას და რუსეთის მეფის სხვა-და-სხვა ეროვნებათა თავისუფალ განვითარებას აღარა დაბრკოლებს-რა.

ჯერ სახამ ბნელს სამარეს არ მიუბარებია საუკუნოდ ნაშთი ხელმწიფისა, რომელსაც მთელმა კაცობრიობამ მშვიდობის-მყოფელი უწოდა, ეს მშვიდობისა და თანასწორობის სიტყვა, როგორც საფუძველი შემდეგის პოლიტიკისა, აღიარებული იმპერატორის ნიკოლოზისაგან, რასაკვირველია, სრულიად საკმარისია. უეჭველია, ამ ჩინებულს საძირკველზედ ახალგაზდა მეფე ააგებს შემდეგს თავისს განზრახვასა და აზრს რუსეთის ქვეშევრდომთა საბედნიეროდ.

ყოველს დროს და ყოველს რჩეულს კაცს ერთი რომელიმე მომწიფებული აზრი აქვს, რომლის შესრულება უწმიდესს მოვალეობად უნდა ჩაითვალოს. ასეთია ისტორია პროგრესისა და ასეთია ისტორია მეფეთა, რომელთაც სახელი დაშთენიათ შთამომავლობაში თვისის კეთილის მოქმედებით. ახალს გვირგვინოსანს ყოველი ესე კარგად მოეხსენება და უეჭველია ხელმწიფობა მისი დაახნევს რუსეთის ტახტის შემავალს ქვეყნებს განათლებისა და თავისუფალ განვითარების კვალს.

ხოლო რაც შეეხება საკუთრივ ჩვენს ქვეყანას, ხელმწიფე კარგად იცნობს საქართველოს და ქართველს ერს, რომელმაც გულ-დანდობით ჩააბარა მისთა წინაპართ თავისი ბედი და რომლის ერთგულება რუსეთის მეფეთა მიმართ ერთხელაც არ შეფერხებულა ამ ასის წლის განმავალობაში. რუსეთის თვითმპყრობელნი ყოველთვის აფასებდნენ ქართველის ერის ერთგულებას და 1888 წელს განსვენებულმა იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ საჯაროდ განუცხადა ქართველ თავად-აზნაურობას თავისი თანაგრძნობა და ყურადღება.

მაგრამ განსვენებულს ხელმწიფეს არ დასცალდა და სასოება მთელის ჩვენის ერისა მიქცეულია ამ ჟამად იმის მემკვიდრეზედ, რომელიც, იმედია, საქართველოს ნამდვილ ქირისუფლობას გაუწევს.

ჩვენ არასოდეს არ გვისურვებია, რომ უპირატესობა გვქონოდა, მაგრამ არც ის მიგვაჩნდა სამართლიანად, რომ სხვა ხალხთან შედარებით ნაკლები უფლება დაგვეთმოს. ახლა-კი, იმ სანუგეშო სიტყვის შემდეგ, რომელიც პირველსავე დღეს ბრძანა იმპერატორმა ნიკოლოზმა,— „ჩემი მეცადინეობა იმად იქნება მიმართული, რომ ყველა ჩემი ქვეშევრდომი ბედნიერი გავხადოო“, ერის მშვიდობიანობასა და წარმატებას ველარა შეაფერხებს-რა.

მეველე

## დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

29 ოქტომბერი

**სუფსა.** მემკვიდრე ცესარევიჩი, დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე დილის 9 საათზედ მოვიდა ხომალდით „არწივით“ ბათუმს. ხომალდში შევიდნენ კავკასიის მთავარ-მართებელი შერემეტევი და ქუთაისის გუბერნატორი გენერალი შალიკოვი. მემკვიდრე ცესარევიჩი გამობრძანდა ნავთ-სადგურზე, მიიღო „მოხსენება“ ციხის უფროსისაგან, სალამი მისცა ტფილისის გუბერნატორს თ. შარვაშიძეს და სხვათა, რომელნიც მიეგებნენ. მემკვიდრე ცესარევიჩთან მოვიდნენ გენერალ ოლსუფიევი, ექიმი პაპოვი და ამალა. მისი უმაღლესობა საუზმეს მატარებელში მიირთმევს და ღამეს ბორჯომში გაატარებს. ხვალ წავლენ აბასთუმანს.

(ჩრდილოეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** საიმპერატორო კარის მინისტრის დეპეშები:

**ლივადია.** დღეს ნაშთი იმპერატორის ალექსანდრე მესამისა გადაასვენეს იალტაში და დილის 11 სა...

## ფელეტონი

### ნაწყვეტები

ჯაშუშო, ნეტავ გამაძღო
შენის სისხლისა სმათაო,
ნეტავი დამაგუფთინა
ეგ შენი ენა ხმლითაო;
ნუდავ ჩვენი ქვეყანისავ,
გრისხავდეს შიში ღვთისაო,
გაფურთხოს მთელმა ქვეყანამ,
აწეწავდეს კბილი მგლისაო!..

დ. მაჩხანელი

### წერილი მეგობართან

II

ძმაო სვიმონ!

კიდევ გამარჯობა! გამოგიტყდები, რომ ახირებულ კაცად მეჩვენები. ახირებულად იმისთვის, რომ შენ სიტყვის კაცი ხარ, მე-კი უსაქმოდ შენი ტკბილი სიტყვა არ მომწონს. სიტყვით ნუგეშის ცემა კარგია აველმყოფისთვის, მაგრამ როდესაც იგი დაინახავს, რომ ასეთი ნუგეში სნეულებას ვერ აქარვებს, უიმედოთ შემოგხედავს და შენს სიტყვას გულში აღარ ჩაუშვებს; ხოლო თუ უებარი წამალი დაალევინე, იგი შვებას იგრძნობს და თვითვე შეგეხვეწება: „შენის ღვთის გულისთვის, ერთიბეწო კიდევ ჩამაყლაპე ეგ წამალიო“. ცხოვრებაშიაც ასეა... ახირებულად მეჩვენები-მეთქი; შეიძლება მე უარესადაც გეჩვენებოდე, მაგრამ ჩემსას მაინც გეტყვი და მერე ყველაფერი შენი ნებაა...

გაიარეს სამოციანმა წლებმა—ამ საერთო გამოფხიზლების ხანამ და თანდათან მინელდა სასტიკი ბრძოლა ორის დაუძინებელის მტერისა—ძველისა და ახალის თაობისა, რომელნიც ერთმანერთს სულ სხვა-და-სხვა გუნებაზედ შეხვდნენ, ვერ შეთვისდნენ და ერთი მეორეს გაუმკლავდა; ორივეს-კი სურდათ თავისი გაეტანათ, მაგრამ ყოველს ბრძოლაში უეჭველად ერთი მარცხდება და აქაც მარცხი ძველს თაობას ჰხვდა, რადგან იმისის არსებობის საფუძველი თითონ დროთა მიმდინარეობისაგან უკვე დაფუცუნებული იყო და, მაშასადამე, ბრძოლის ველზედ იმისი დიდხანს სიმაგრით შეჩერება შეუძლებელი გახდა. ახალმა თაობამ გამარჯვებით გადმოითამაშა და სიცოცხლე მოჰფინა დახავსებულ ცხოვრებას... წავიდა, ჩაიარა, მეგობარო, იმ ტურფა ხანამ; მაშინდელი ახალი თაობა დღეს დაძველდა; დროებამ დაჰბადა ახალი სადავო საგანი და ბრძოლის ველზედ დაძველებულების მოპირდაპირეთ სხვა ნორჩი თაობა აღმოაცენა, მაგრამ ამ ნორჩ თაობას ისეთი იერიში ველარ მიუტანია წინანდელ ახლებზედ—დღეს-კი დაძველებულებზედ, რომელთა მოქმედებას აწინდელი ცხოვრება ველარ ინელებს, მაგრამ ესინი, გათამამებულნი წინანდელის მნიშვნელობით, ეხლაც მედიდურობენ და ახალ თაობას გზიდგან არ ეცლებიან.

არ გეგონოს-კი, მეგობარო, ვითომ ძველი სჯობდეს ახალსა. არა, ცხოვრება დღითი-დღე წინ მიდის და ჰბადავს ახალს საგნებს. თუ დღევანდელი ახალი თაობა შეუმჩნეველია, ეს იმისთვის, რომ დიდი გარჩევაა წინანდელსა და დღევანდელს ახალ თაობას შორის ისევე, როგორც მაშინდელ და ეხლანდელ სადავო საგანსა და თვით დროთა შორის. დღეს „მესამე დასი“ გვეუბნება, რომ ცხოვრებამ ჩატეხილი ხიდი უკვე გაამთელაო. თუნდაც რომ დავეთანხმნეთ ამ აზრს, მაინც იმ წარსულ დროში ხომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წოდებას. შენ როგორც გინდა იფიქრე, ჩემო მეგობარო, მაგრამ მე-კი მრწამს, რომ დროთი და გარემოებით გადიდებულს კაცს უფრო მეტი ხმა აქვს საზოგადოებაში, იგი უფრო ადვილად ჰპოვებს მათაყვანებელთ. აბა თვალი გადაავლე სამოციან წლებს; ვინ უფრო შეამკო საზოგადოებამ დიდების გვირგვინებით?... აქ მარტო აზრი არა ყოფილა დამნაშავე... დღევანდელ ახალთაობას-კი შეადგენს დაბალი ხალხი, რომელსაც ჩვენი „პირველის ხარისხის ინტელიგენცია“ არაფრად აგდებს. გარდა ამისა, ძველების ბრძოლის საგანი არც აგრე ძნელი იყო, როგორც დღევანდელის თაობისა. სხვასთან ერთად მაშინდელ ჩვენს ახალ-გაზდობასაც დაჰბერა ევროპის ნიავმა და საზიზღარი მონობა, თავისის მამა-პაპის უკაცო ქცევა კაცის არ შესაფერებლად სცნო და ამისთვის საკმარისი იყო მარტო სიტყვით ლალადებაც. დღეს-კი ცხოვრება რთულია, სულ სხვა დონეზედ დაყენებული და ცარიელი სიტყვით ლალადება ლალადებადვე დარჩება, რადგან ათასის გარემოებით შევიწროებული, ლუკმას დანატრულებული მშრომელი შენს ტკბილსა და იქნებ გულ-წრფელ ქადაგებას ყურშიაც არ შეუშვებს და გულ-ახდით მოგიგებს: „ნეტა შენ, რომ მოგიცლია და ლაპარაკობო“. მაგრამ, თუ შენც მუშად გარდიქცევი და შენის ცოდნით ძნელს სამუშაოს ადვილად გადააბრუნებ, უვიცის, მოუხერხებელის მუშის თვალწინ, იგი უეჭველად ყურადღებას მოგაქცევს.

ცოცხალი, ცოცხალი მაგალითია, ჩემო სვიმონ, დღეს დაბალის ხალხისთვის საჭირო, თორემ ცარიელი ფილოსოფოსობა, ადამ სმიტების, კარლ-მარკსების, სენ სიმონების და სხ. აზრების ბაქი-ბუქი შავ-ბნელით მოცულსა და მძიმედ დატვირთულს ხალხს ლამპრად ვერ გაუხდება. ევროპის მეცნიერულის აზრის შესწავლა, ცოდნა საჭიროა, მაგრამ ამ ცოდნას ზედმიწევნით დამოკიდებულება, შეფერება უნდა ჰქონდეს ჩვენის ხალხის ცხოვრების ვითარებასთან.

სამოციან წლებში ინტელიგენტის ბრძოლას ძველ წეს-წყობილებასთან, ცხოვრების ქსელთან ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ამ ბრძოლაში თუ

ათსა და 30 წუთს გემ „Память Меркурія“-ზედ გადაიტანეს. გემი, რომლითაც მიბრძანდებიან ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა, უმაღლესად სახელწოდებული სასძლო, მემკვიდრე ცესარევიჩი, დიდი მთავრები მიხეილ ალექსანდრეს ძე, ალექსი ალექსანდრეს ძე, დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული მეუღლითურთ და დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული, სევასტოპოლს გაემართა.

**ბელბეკი.** გემმა „Память Меркурія“-მ გაიარა მთელი გზა და 3 საათს და 30 წუთს მივიდა რკინის გზის ნავთსადგურთან სევასტოპოლის სამხრეთს ყურეში. როდესაც გარდაიხადეს ლოცვა მიცვალებულისათვის, კუბო ნაშთით სამგლოვიარო ვაგონში გადაასვენეს. სამგლოვიარო მატარებელი მოსკოვს გაემართა და თანვე გაჰყვა მეორე საიმპერატორო მატარებელიც.

მემკვიდრე ცესარევიჩი, რომელიც მთის ჰაერით სწამლობს თავსა, კავკასიაში წაბრძანდა.

აწ განსვენებულის ხელმწიფე იმპერატორის გვამის გაჭრის ოქმიდგანა სჩანს, რომ რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მესამე გულის სიდამბლავით გარდაცვლილა. ამ ოქმზედ ხელი უწერიათ პროფესორებს: მოსკოვის უნივერსიტეტისას—კლეინს, ზერკოვის უნივერსიტეტისას — ალტუხოვს და ხარკოვისას—ბელოუსოვს.

**პეტერბურგი.** მდინარე ვოლგა სულ მთლად გაიყინა. „ტროიცკისა“ და სასახლის ხიდები გახსნილია.

იმპერატორის ალექსანდრე ალექსანდრეს ძის გარდაცვალების გამო 20 ოქტომბრიდგან ერთის წლით გლოვაა დანიშნული, ოთხ გვარად განაწილებული.

გუშინდელს რედაქტორებისა და გამომცემლების კრებაზედ საკუთარ დეპეშათა სააგენტოს საქმის მოწყობისა და მეთვალყურეობის რწმუნებულებად ამორჩეულ იქმნენ: სუვორინი, ნატოვიჩი, კომაროვი და კოუგელხენი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ვენიდგან იწერებიან, რომ მთელი ჟურნალ-გაზეთობა დიდის კმაყოფილებით მიეგება ახალის იმპერატორის მანიფესტსაო. გაზეთი «Tremdenblatt» ამბობს:

„თავისს სამეფო მოღვაწეობას ნიკოლოზ II მშვიდობიანობის სიტყვით იწყებს და უეჭველია ამ სიტყვას დიდის სიამოვნებით მიეგებება მთელი რუსეთი და ევროპა-კი დიდის ნდობითაო. მშვიდობიანობა ყველა ერისათვის არის საჭირო, რადგანაც იგი თავდებია, რომ ქვეყანა წყნარად და დაუშლელად განივლის გზასა წარმატებისასაო. თავისს მანიფესტში იმპერატორი აცხადებს, რომ სახეში მექმნება ჩემის ქვეშევრდომთა კეთილდღეობა, და მთელი რუსეთიც დიდის რწმენით უნდა მიეგებოს თვითმპყრობელ ხელმწიფის ამ სიტყვებს, იმ ხელმწიფის სიტყვებს, რომელიც დიდსულოვნად უცქერის თავისს მოვალეობას. რუსეთის გარეშე ხალხი ხომ სულით და გულით მოისურვებს, რომ ნიკოლოზ II თავისს მოვალეობა პირ-ნათლად შეასრულოს, ასცილდეს ყოველ გვარი ურვა და უბედურება, რომ შეუშფოთებლად შესწიროს თავი უმაღლესს საგანს ერის მმართველისას. მალე იმპერატორი შეირთავს გერმანიის იმპერატორის დედაშვილს და ეს ამბავი იმედს გვაძლევს, რომ რუსეთსა და გერმანიას მეგობრული ურთი-ერთობა ექმნებათო.“

**

ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოზ მეორის სამეფო ტახტზედ ასვლის გამო, გაზეთი «Новости» სწერს:

გარეშე მშვიდობიანობა და შინაური სიმშვიდე რუსეთისა ნიშანია დიდებულის მეფობის და ნაყოფიერს ნიადაგს წარმოადგენს მეფურის სიტყვის, „რუსეთის მშვიდობასა შინა წარმატების განხორციელებისათვის და ქვეშევრდომთა „ბედნიერების“ მისანიჭნებლად.

ისტორიის მაგალითები გვიმტკიცებს, რომ ყოველი კეთილი განზრახვა, გაუმჯობესობა, რთულისა და არსებით ცვლილებათა შემოღება, სინათლე და სიკეთე რუსეთში, ყოველთვის მაღლიდგან რუსეთის ერის უზენაესის წინამძღოლთა და მზრუნველთაგან დაწყებულა. ასე იყო წმინდა ვლადიმირისა და ვლადიმირ მონომახის დროს; ასევე იყო პეტრე I სა და ეკატერინე II დროსაც და რასაკვირველია, ასევე იქმნება ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოზ ალექსანდრეს ძის დროსაც.

**

ბ-ნი კანდიდი „Новость“-ში განსვენებულის ხელმწიფე იმპერატორის ქველ-მოქმედებას შეეხება და ამბობს, რომ

„დიდი ხანი ეხსომება ხალხს მისი ქველ-მოქმედება, ნამეტნავად ის ქველ-მოქმედება, რომელიც სიმშილობის წელიწადს გამოიჩინაო. ეს გარემოება მე ჩემის თვალით მინახავს ჩემის მოგზაურობის დროსაო.

რამდენჯერ გამიგონია გლეხებისაგან, რომ ლოცვა კურთხევით იხსენიებდნენ მეფის სახელს, იმატომ—რომ თავისი უხვი მოწყალება არ დაიშურა და გაჭირვების დროს „სიმშილით არ დაგვხოცაო“.

ხალხს წმინდათ სწამდა, რომ ის ბევრი, რომელიც სიმშილობის დროს ხალხს ეძლეოდა, განსაკუთრებით მეფის წყალობა იყო, სწამდათ, რომ „მარტო მეფე აცხოვრებდა ხალხს“ ეს რწმენა ხანდახან უთანხმოებასაც გამოიწვევდა ხოლმე.

ასევე იგონებენ და აფასებენ მეფის მშვიდობის მოყვარეობასაც, უმეტესად, ვისაც-კი მამა უღლად აწვება ომი, ვისაც მამა, შვილები, ძმები ან ქმარი სამსახურებენ ჯარში. ან „სოლდატკების რაზმში“ ითვლებიან და ომის დროს ოჯახსა და საქმეს თავი უნდა დაანებონ და სამშობლოს დაცვას შესწირონ თავი. ასეთები ხომ მადლიანობით ითვლიან, და საგრძნობლებიც არის იმათი ცრემლებიო“.

## უცხოეთი

**ბერლინი.** უმაღლესმა მანიფესტმა დიდი თანაგრძნობა გამოიწვია. ყველაზედ სასიამოვნოდ იმან იმოქმედა, რომ ახალი ხელმწიფე მშვიდობიანობის მომხრეა და მშვიდობიანობის დაცვა ერთს უპირველესს საგანს შეადგენს ხელმწიფე იმპერატორისას.

**ლონდონი.** იმპერატორის ალექსანდრე მესამის გარდაცვალების გამო უმაღლესი კარი მძიმე შავებით შეიმოსა, ვითარცა მახლობელი ნათესავი ხელმწიფისა. დღეს ხენ-ჯემის ეკკლესიაში ხელმწიფის სულის მოსახსენებლად წირვა იქმნა გარდახდილი. იმ მწუხარების განსაცხადებელ ადრესზედ, რომელიც ინგლისის ჟურნალ-გაზეთებისაგან თანაგრძნობის ნიშნად უნდა გაიგზავნოს რუსეთში, მრავალნი აწერენ ხელსა. „Daily News“-ი ჰმოწმობს, რომ ალექსანდრე III-ს მეფობის დროს, რუსეთი საყოველთაო მშვიდობიანობის დედა-ბოძად გარდაიქცაო. რუსეთის ლიტერატურამ კაცობრიობის აღზრდისათვის ახალი ძალა შეგვძინაო.

**ლონდონი.** (22 ოქტომბერი) უმაღლესმა მანიფესტმა აქ დიდი თანაგრძნობა გამოიწვია. აქ იმ აზრისანი არიან, რომ მანიფესტის სიტყვები, რომელშიაც აღთქმულია რუსეთის მშვიდობასა შინა წარმატება, აშკარათ ჰმოწმობს, რომ რუსეთი თავისს მშვიდობიანს პოლიტიკას განაგრძობსო.

**ინგლისი.** მაშინ, როდესაც მინისტრ-პრეზიდენტი ბრედფორდში ლორდთა პარლამენტს მიწასთან ასწორებდა, მისმა ახლოვახლო ამხანაგმა ასკიტმა ჰეიპორეტში სიტყვა წარმოსთქვა და განმარტა რა აზრისაა მთავრობა მუშათა საქმის შესახებ. ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრმა, სხვათა შორის, სთქვა თურმე: „სახელმწიფო, ვითარცა პატრონი საქმისა, ვალდებულია ემაგალითოს სხვა მუშაობის მძლეველთ ყოველ იმ მხრივ რაც შეეხება სამუშაო ვადას, სამუშაო ფასსა და მუშებთან რიგიანად, ადამიანურად მოკიდებას, ამ მხრივ საკმაოდ ბევრი რამ გაკეთდა შარშან. ამას გარდა, საქარხნო კანონები არა თუ მარტო მტკიცედ უნდა იქმნას ასრულებული, არამედ დიდის სიფრთხილიდაც უნდა იყოს დაწერილი. სამუშაო ვადა მთავრობას ყოველთვის შეუძლიან შეამციროს, როგორც ბავშვებისა და დედაკაცებისათვის, ისე მამაკაცებისათვისაც ისევე, როგორც რკინის გზის მუშათათვის შემცირებული იყო სამუშაო ვადა. მე ყოველთვის იმას ვეცდები, რომ მუშათათვის, რომელნიც საშიშ და ჯანმრთელობისათვის მავნებელ წარმოებას ემსახურებიან, სასარგებლო ღონისძიებანი იქმნას შემოღებულიო“.

**ბარდანნი.** 22 ოქტომბერი. ყველა ფრანგის ქალი ლოცულობს და სტირის, უერთებს რა თავისს საერთო წუხილს თავისს რუსს დებს, რომელთაც საერთო მამა დაჰკარგეს.

ჟიულეტა ადანი

**ჩინეთი.** დეპეშამ ამ დღეებში ამბავი მოიტანა, რომ ჩინეთის ახალგაზრდა იმპერატრიცა გარდაიცვალაო. ეხლა-კი გაზ. „New Iork Herald“-ი იუწყება, რომ ჩინეთის დედოფალი თავისის ავადმყოფობის მიზეზით-კი არ მომკვდარა, არამედ თავი მოუწამლავს. დედოფლის მიერ თავის მოკვლის მიზეზი ისა ყოფილა, რომ მეუღლეს საჯაროდ სილა გაურტყამს. ამბობენ, რომ ამათი ქორწინება ნაძალადევი იყოო, რადგანაც იმპერატორს მანჯურიის ერთის მოხელეს ქალი ჰყვარებია, მაგრამ დედოფალს-რეგენტს სხვა განზრახვანი ჰქონია და თავისი დისწული მიუცია მეუღლედ.

**სერბია.** ბელგრადის გაზეთები ასე ახასიათებენ სერბიის ახალის კაბინეტის წევრთ: მინისტრ-პრეზიდენტი ნიკოლა ხრისტიჩი ნამდვილი ჯარის კაცია; როგორც წინად, ეხლაც უნაკლულოდ შეასრულებს სასახლიდგან მიცემულ ბრძანებასა, როგორიც უნდა იყოს ეს ბრძანება. ბოგიჩევიჩი—გარეშე საქმეთა მინისტრი „ნაპრედნიაკების“ დასს ეკუთვნის. იუსტიციის მინისტრი მიკა გეორგევიჩი კატიჩის ნათესავია და პაშიჩის კაბინეტში გარეშე საქმეთა მინისტ-

---

იგი თავს გაიტანდა, ამით მთელს ეროვნებას ააშორებდა საზიზღარ სენს. მაშასადამე, წინანდელ სიტყვით ბრძოლაში მოქცეული იყო საერთო ბედნიერება. ახალი ინტელიგენტი კი უფრო მსჯელობს თავისს გვარ ინტელიგენტებისთვის, რადგან მის მსჯელობას მხოლოდ ინტელიგენტივე კითხულობს და ხალხის ინტერესები-კი მას აგრე რიგად არ აგონდება, იგი ამის ბედს არ აკვირდება, როგორღაც ადვილის თვალით გასცქერის და იძახის: „ვაჭრობაა გამაბედნიერებელი, მარტო სოფლის მიჩერება არ ვარგა, რადგან იქ ნაწარმოებს ბაზარი არა აქვსო“. მაშასადამე, ახალი ინტელიგენტი ჰქადაგებს სოფლელის მოქალაქედ გარდაქცევას.

ვაჭრობა დიახაც კარგია, თუ-კი ამ ხელობას ბედმა გაუღიმა, მაგრამ ყველას ხომ ვაჭრად ვერ გარდავაქცევთ. კაცის ბედნიერ საყოფელად საჭიროა ვაჭრობა, საჭიროა მეურნეობა, მიწად-მოქმედებაც. თუ დღეს ჩვენში სოფლის ნაწარმოებს ხეირიანი ბაზარი არა აქვს, ეს იმის მიზეხით რომ საბაზრო ადგილზედ ერთ მხარესა სდგას თავისის ნაწარმოებით დარბაისელი, გულ-წრფელი, ზნე-შეულახავი სოფლის მეურნე, მეორე მხარეს-კი თავისს ფულით ჩვენებური გაწუწკებული ჩარჩი. მეურნეს სხვა ქვეყნისკენ ფეხის გადადგმა ვერ გაუბედნია და ძალა უნებურად ვარდება ჩარჩის ბადეში. თუ ჩვენს ახალს (თუნდაც ძველს) ინტელიგენტს გული სტკივა თავისის მოძმისთვის, ამ შემთხვევაში იგი შუამდგომლად უნდა გახდეს, ე. ი. ამან უნდა დააარსოს საზოგადოება, რომელიც პირიანად შეიძენს თავისის მოძმის ნაწარმოებს და შემდეგ უცხო ქვეყნებში გაასაღებს. მაგრამ ეს სათქმელად არის ადვილი, საქმით-კი ერთობ ძნელი ასასრულებელია; კაცის თვისება ხომ იცი, ჩემო სვიმონ, იგი სიძნელეს ყოველთვის ერიდება და ეტანება სიადვილეს. ინტელიგენტიც კაცია: რად გაიჭირვებს იგი საქმეს, როდესაც იცის, რომ მარტო მაღალ-აზროვანი სიტყვითაც მიაღწევს თავისს სურვილს, ე. ი. მოიხვეჭს სახელს საზოგადოებაში. თუ რამდენად წრფელი გულიდგან ამოდის ეს მაღალი სიტყვა, ამას ვინ აქცევს ყურადღებას და ჩვენი ინტელიგენციაც ერთობ—მოუწყენლად დროს ატარებს მარტო სიტყვით. მართალია, ხალხის გონებით წინ-წაწევა, აზრის მოძრაობა სიტყვაში იხატება, მაგრამ ცარიელის სიტყვით კაცი ვერ მიაღწევს თავისს საგანს—შეუჭირვებლად კმაყოფილებით არსებობას; აუცილებლად საჭიროა იმისის ეკონომიურის მდგომარეობის გაუმჯობესოება, ვაჭრობით მოხდება ეს, თუ მეურნეობით, სულ ერთია.

ევროპის მოძრაობით გატაცებული ახალი ინტელიგენცია ხალხს ურჩევს ვაჭრობას და ქალაქებში ქარხნებში მუშაობას, თუ-კი მიწად-მოქმედებიდგან, მეურნეობიდგან იმდენი სარგებლობა ვერ გამოუტანიათ. ევროპა შედარებით სხვებთან დიდი ბრძენია, მაგრამ ეს სიბრძნე სხვა ხალხებს ხშირად ისე სასარგებლოდ არ გამოადგება, რადგან ამ ხალხების გარემოებანი სულ სხვა მიზეზებზედ არის აგებული. თუ დღეს ჩვენ მეურნეთ, მიწად მოქმედთ იმდენი სარგებლობა ვერ გამოუტანიათ თავიანთის ხელობიდგან ეს იმას კი არ გვეუბნება, ვითომ მეურნეობა, მიწის მუშაობა სასარგებლო არ იყოს კაცის ბედნიერ საყოფელად, არამედ იმას, რომ ჩვენ მეურნეთ, რომელნიც აქამდის მამაპაპათა გზას არ გადასცდენიან, არა აქვთ მეცნიერულად შესწავლული თავისი ხელობა; გარდა ამისა, არ იციან გზა თავისს ნაწარმოების გასაღებისა. თავისის ბედის გასაუმჯობესებლად კაცი არაფერს უნდა ერიდებოდეს (რასაკვირველია უზნეო მოქმედების გარდა), აქეთ იქით უნდა მისდგეს და, სადაც უკეთესად წავა მისი საქმე, იქ იშრომოს, მაგრამ სიღარიბით, უქონლობით შეწუხებულ მუშისთვის ქალაქებში ეს გადასახლებ-გადმოსახლება, აქეთ-იქით სიარული ბედის საძებნელად ერთობ რთული, მძიმე საგანია და, ვინ იცის, იქნება უფრო საზარალოც. მაგალითს გვაძლევს რუსეთის ხალხი, რომელიც ასე მისჩვევია წარა-მარა წოწიალს ბედის საძებნელად, ეს ბედი კი ვერსად უპოვია და ბოლოს, მთლად გაღატაკებული, უფრო შეჭირვებული, იგი ისევ უბრუნდება თავისს აოხრებულს, მიტოვებულს სახლ-კარს.

ის უმჯობესი იქნება, თუ მყუდრო კუნჭულებში ოცნების მაგივრად ჩვენი ინტელიგენცია ხალხს გვერდში ამოუდგება, საანბანო სკოლების ნაცვლად ხელში მისცემს საუკეთესო იარაღებს, შეასწავლის უფრო სასარგებლო მუშაობას; შეასწავლის ალებ-მიცემობას, რომელსაც დაუდებს უფრო ფართო გზას და იმის ზნე ჩვეულებას საჭირო შალაშინს გაავლებს. მწერლობა მართლა ისეთი ხელობა ხომ არ არის, რომ თითოეული მარტო იმასა სცდილობდეს, სხვას გადააჭარბოს ამ ხელობაში; იგი ხალხის სულსა და გულთან შეწებებული, ამასთან ხალხის სულისა და ხორცის მაცოცხლებელი უნდა იყოს. ინტელიგენციაც ხომ რამე მარტივი დაწესებულება არ არის! ეს იმავე ხალხის ნაწილია, მხოლოდ გონებით გამოფხიზლებული; ეს წინამორბედია ბედნიერებისა, მაშასადამე ყველგან და ყოველ შემთხვევაში წინ უნდა უძღოდეს ხალხს. „ღმერთთან მისთვისს ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“-ო, მაგრამ წაძღოლა სხვა-და-სხვანაირი ყოფილა, მეგობარო!... ერის წყლული თავისს წყლულად არავის მიუჩნევია, იმის ტანჯვით სული არავის დასწვია, მისი უბედობით გული არავის დასდაგვია და მაშ ისევ ისე უნდა შერჩენილიყო მაშვრალის ხალხის თვალზედ ტანჯ-

რად ნამყოფი—ზომიერი რადიკალია. ჯეორგევიჩი სერბიის ელჩად იყო პარიზში, სადაც ანარხისტებს უნდოდათ მისი მოკვლა. კლერში—საერო განათლების მინისტრი ნეიტრალია. დანარჩენები ძველი მინისტრები არიან. ამ გვარად, ამბობენ ბელგრადის გაზეთები, ნიკოლა ხრისტიჩის კაბინეტი ყველა დასის წარმომადგენელებისაგან შესდგებაო.

# ახალი ამბავი

*** ქვემო-ქიზიყი: მომავალ სახალხო დეპო-ბანკის სიაზე ხალისიანად აწერენ ხელს. რადგანაც წილი თუმანი ღირს, ამისათვის ზოგიერთნი (უფრო სამღვდელოება) ათსა და ოცს პაის იღებენ და თან მასაც დასძენენ: საქმე თუ რიგიანად დატრიალდა ერთი ათად მეტ საწევრო ფულს ჩამოვალთო. იმედი გვაქვს მთელ თავისს ცოდნა-უნარს გამოიჩენს ხსენებული დეპო-ბანკის უკვე ამორჩეული გამგეობა და საქმით დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ ჩვენც, ქართველებსაც, შეგვიძლიან საქვეყნო საქმის სანაქებოდ წარმოება.

*** სუფთაობა და ფაქიზად ცხოვრება უპირველესი საშუალებაა ხოლერის მოსასპობად. ამიტომ ამ სისუფთავეს, რასაკვირველია, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, მით უმეტეს, რომ აქა-იქ, როგორც ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, ხოლერამ კიდეც იჩინა თავი. მაგრამ, სამწუხაროდ, საშინელს უსუფთაობას შეხვდებით ტფილისის ზოგიერთს სამიკიტნოებსა და დუქნებში, სადაც-კი საჭმელებს ამზადებენ. საჭმელებს ძველის, თითქმის დამპალის ხორციაგან აკეთებენ და აბა, რასაკვირველია, ავად გახდეს საწყალი მუშა კაცი, რომელსაც სახსარი არა აქვს, რომ, თუ არა დუქნებში და „ხარჩევნიებში» სხვაგან იშოვოს საჭმელსაკვები. იმედია რომ ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევს, ვისიც ჯერ არს.

*** რადგანაც ს. პატარა-ლილოში რამდენიმე კაცი გამხდარა აზიის ხოლერით ავად, საგუბერნიო მმართველობის საექიმო გამგეობას ამ სოფელში ერთი ფერშალი გაუგზავნია, რომელმაც მკვიდრთ დახმარება უნდა აღმოუჩინოს; და იმ სადგურებში, სადაც ხოლერით ავადმყოფები ყოფილან, დეზინფექცია მოახდინოს.

*** ს. ტაბაკინა: (შორაპნის მაზრა). ჩვენს სოფელში არის საეკკლესიო მამულები: ვენახები და ერთი დიდი მთა, ტყით დაფენილი, რომლის გამგეთ იმერეთის ეპისკოპოსია. ეს ადგილები გლეხებსა აქვთ იჯარით აღებული და საიჯარო ფასში საგანგებოდ დაყენებულს ღვინოს იხდიან ათის ფუთიდგან 25 ფუთამდე. იმას გარდა, რომ გლეხებს ხანდახან ზარალი აქვთ, მღვდელმაც, რომელიც ტყის მეთვალყურედ არის დანიშნული, სხვა სოფლის გლეხებს 20 მანეთი გამოართვა და ეს მშვენიერი ტყე საყანედ გააჩეხინა. ისე გაანადგურეს ნახევარი ამ ტყისა, რომ კაცს გული მოუკვდება, მაგრამ უფრო გულსაკლავი და საზარალო იქმნება მაშინ, როცა მეორე ნახევარსაც გასჩეხავენ. ვინ არ იცის, რომ ტყის გაჩეხას დიდი ზარალი მოაქვს ქვეყნისათვის და ამიტომ საჭიროა, მისმა მეუფებამ ყურადღება მიაქციოს ამ მღვდლის მოქმედებას, ტყე გაჩეხისაგან გადაარჩინოს და სოფელი ზარალისაგან დაიხსნას.

*** ჩვენ მივიღეთ ბ-ნ გ. ტატიშვილის მიერ შედგენილი და ხეზედ ამოჭრილი და ქ-ნ მინადორა ტატიშვილის მიერ გამოცემული ალბომი „ქართულის" ანბანისა". ბ-ნ გ. ტატიშვილს თერთმეტი წელიწადი უშრომნია და მართლაც, რომ დიდის სიფაქიზითა და ხელოვნებით შეუდგენია ჩართული ასოები (მონოგრამები) ლითონის ნივთებზედ ამოსაჭრელადა და ქსოვილებზედ დასითვით (გლადით) ამოსაკერად. ეს ხელოვნების ნაწარმოები ასიამოვნებს ყოველის ქართველის გულს და გააოცებს, რამდენი უნდა ემუშავნა, რომ ასე ლამაზად და გონიერად შეედგინა ქართული ჩართული ასოებიო. ჩართული ასო ხუთასზედ მეტია მოქცეული ამ ალბომში, ბოლოს დატანებული აქვს ზოგიერთი რთული-ჩართული ასოები და გვირგვინი სათავადო და სააზნაურო. შემდგენელი ალბომს უძღვნის კნეინა მარიამ ვახტანგის ასულს ჯამბაკურ-ორბელიანისას. ალბომის შემოსავლის ათის თავი შეეწირება მომავალს ქართულს დედათა სასწავლებელს. ალბომი ძალიან სუფთად და მშვენივრად არის დაბეჭდილი და არც ძვირადა ჰღირს—ფასი ერთი მანეთია.

შეცდომის გასწორება: ჩვენს გუშინდელს გაზეთში დაბეჭდილს წერილს: „ისევ ჩიორას მიერ აღძრულ საგნის შესახებ" შეცდომით ქვეშ აწერია: „მარიამ საგინაშვილისა", უნდა იყოს: „მარიამ საგინაშვილისა".

## დამაკვირდი

ზღვის ცუდი თვისება, თუ თითონ აქვს, მოსწონს, თუ სხვასა და, სძულს.

**

**

მშვენიერება მაშინვე ჰხიბლავს ადამიანს, დაინახავს თუ არა თვალი, ჭეშმარიტებას-კი ჯერ შესწავლა უნდა.

შილერი

**

ამ ქვეყნად ბედნიერნი მხოლოდ ისინი არიან, რომელთაც თვითვე მიაჩნიათ თავი თვისი ბედნიერად.

კამოენსი

## კარაპეტას აზრი ხოლერის შესახებ

(სცენა)

(დუქნის კარებთან ქვაზედ ჩაცუცქული ჰზის კარაპეტა, ხელში კრიალოსანი უჭირავს და ცალ-თვალა დალაქსა და ცალ-ფეხა ხარაზს ებაასება.)

კარაპეტა. ახრ, რის ბასილა, რის ნაზუქი და გამომცხვარი!.. ანგელოზია რაღა, ჩამოიარა და ავ ქარს ჩამოჰყვა. უზურში, ხაჭრუმალა წელიწადი რომ დადგება, ავს ვარსკვლავზედ დაბადებული, დადგება!.. ჩასციებიან, ბასილაო! მაშ ვანქის ხიდის ჩატეხვაც, მაგათ ჭკუაში, ბასილის ბრალი იქნება რაღა?! წამალი ვერა მოუგონიათ-რა და ბასილას იმიზეზებენ. ვა, თუ ბასილაა, შარშან სად იყო ეს ბასილა-და... ჰო, ალბად ტყვია-წამალს ამზადებდა ავანაანთ ხევში და ფარსიიდგან გზაზედ ფეხით მოდიოდა. ბილეთის ფული ხომ არ ექნებოდა, რომ პარახოდით ჩამოსულიყო! ჩვენი გეურქას შვილი იოვანე დოხტურია, ნამდვილი დოხტური: სათვალეებიცა აქვს, გულზედ სატყაპუნებელი ჩაქუჩიც და ხუთი წელიწადიც რუსეთში ძაღლებსა სჭრიდა. ამბობენ, კარგი ექიმიაო, ჯიბეები სულ ქინაქინითა აქვს გამოტენილი. იმ დღეს დუქნის წინ ჩამოიარა, დავუძახე და ვკითხე:

— უსტა იოვან, ჭკვიანი კაცი ხარ, ერთი გამაგებინე, ეს რა ჩარი და დოზანა ავადმყოფობაა, როგორა ჩნდება-მეთქი?

— ეგაო სულ ბასილას ბრალიაო.

— ეგ რაღა უნდა იყოს?

— თუ ბასილა ერთი პატარა ჭიაა, დურბინდითაც ძნელად დაინახავ, ის ჩადის მუცელში და ნაწლავებში ხორველას აჩენსო.

— ვა, ლუკმაზედ დიდი ხომ არ არის-მეთქი, განა კაცის კუჭი და ვერ მოინელებს. ეგ ტყუილია, ძმავ, ლუკმაზედ რაც დიდი არ არის, თუ ერთი ყანყრატოში ჩაეტია და ყელს ჩასცილდა, კაცს ვერაფერს უზამს-მეთქი.

— ცხელი ტყვიაც ხომ ლუკმაზედ დიდი არ არის, მაგრამ კაცსა ჰკლავსო.

— ვა, მერე რომელი ცხელი ტყვია ჩადის ნაწლავებში, ისიც პირიდგან, თითქოს „პუტეშესტვიასა" შერებაო, და იქ ყალმაყალსა ჰმართავს-მეთქი?

დაჩუმდა. თავი მოიფხანა, ჰნახა, რომ თავისი დამპალი საქონელი ჩემზედ ვერ გაასაღა და არ იცოდა, რა ეთქვა.

— ძნელია მაგისი გაგება, გირჩევ-კი სუფთად შეინახე თავი, მურტალსა და ჭუჭყიანს რამეს ბასილა ძალიან ეტანებაო.

— ვა, ღორის ჯიშისა ყოფილა-მეთქი, უთუოდ ნეხვში უნდა ჩაჰყოს ცხვირი: მაინც, უსტა იოვან, წამალი აქვს რამე მაგ ხაჭრუმალას.

— თუ არა, ვეძებთო.

— სად ეძებთ-მეთქი?

— თუ ხოლერის მკვდრებსა ჰჭრით, ვსინჯავთო.

მოდი და ელაპარაკე! ვა, მკვდრებს რაღასა სჭრით-და, შე მამაცხონებულო?' ვთქვათ, ეს ბასილა რწყილია, დაიჭირე და მოჰკალ. თუ მე მოვკვდები, ის ბასილა თუნდა მოჰკალ, თუნდა არა, მე რაღას მიშველი-და?! არა, რა ანგარიშია, მამა გიცხონდა, მკვდრების გაჭრა, არ მესმის? ამბობენ, ვითომ ჭკუას გვასწავლიან, თუ პური გახუხე; თეფშები და დანები დამდუღრე; ადუღებული წყალი დალიე; მტკვარი არ დალიო; კიტრი-მწვანილი მოხარშე; ჭუჭყიანი ხელი პირში არ ჩაიდო, ვაი თუ ხელზედ ბასილა იყოს და მუცელში წავა; ბუზი თუ პირში შეფრინდა, წამლით გამოირეცხე, თორემ ზედ ბასილა იჯდებოდა; ღამე პირ-ღია არ დაიძინო, რწყილი არ ჩახტეს, რწყილი ბასილას რაშია, შეჯდება ზედ და ისე დადის; გამარჯობას ნურავის ეტყვი, შენ ხელზედ ბასილა გადმოვა... ეეე, ბარემ ხელფეხი შევიკრა, თვალები დავხუჭო და ბებიაჩემის ხამფერას ჩადრი გადავიფარო რაღა სუდარად. ახარ, ამოდენა საქმეს ორი კაცი ვერ იზამს, მე რომ პურები ვხუხო და ბუზებს ვუყურო, ვიღამ იმუშაოს, პური ვინ მაჭამოს-და! მახლას, ზირთი-ფირთებს ეძებიან რაღა!.. უზურში მაგათი ექიმობა ხუთი გროში არა ჰღირს. ფალარათადა ხარ—შეგკრავენ, შეკრული ხარ—გაგაფალარათებენ; გაციებს—თბილ ტილოებს გადებენ, სიცხე გაქვს—ცივ ტილოებს გადებენ, ხელზედ მუწუკი გამოგივიდა—ხელს მოგჭრიან, ფეხზედ გამოგივიდა—ცალ-ფეხა გაგხდიან, თუ მოკვდი და, მაშინ უნდა გაგჭრან და მუცელში ჰარისხასავით ხელები ურიონ.

ღმერთი გამიწყრეს, ღმერთი, წინანაურობას არ დავესწრო, სამღთო უნდა დავკლა, თუ მაგათ რიგიანად სურდოს მორჩენა შეეძლოთ! აბაში ერთ ავგაროზს დასწერს, ერთ შე-

---

ვის ცრემლი.

ერთმა ჩვენმა ინტელიგენტმა, რომელიც სარკეა მთელი ჩვენი ინტელიგენციისა, მშვენივრად გამოსთქვა ამ ცრემლის პატრონის ვითარება, როდესაც მან ისე ზედ-მიწევნით დასურათა კავშირი ხის ფესვებს, შუა წელსა და მტოებს შორის; როდესაც გასაზღვრა წინამძღოლობა და წინამძღომიბა. („კვალი", № 25—94 წ.), მაგრამ ცარიელი ამ გვარი დასურათ-ხატება არ კმარა საქმის დასამთავრებლად: პირველი გული და პიროვნული ბედნიერების უარყოფაა. დრო გამოიცვალა: ეხლა ჩვენ გვინდა საქმის კაცი და არა ტკბილი ორატორი, რომელსაც ამჯევრმეტყველებს უფრო „წინამძღომობა". ეს ტკბილი ორატორები, მართალია, გულით სვამენ წინამძღოლების (?) სადღეგრძელოს, მაგრამ ეს ქართველი კაცის გულ-კეთილობაა მხოლოდ: შენ ტკბილის სიტყვით გასიამოვნებენ, თავისს თავს კიდევ ნუნუათი, მოგებულნიკი, რასაკვირველია, უფრო თვითონ რჩებიან. მაშვრალის ცრემლი ამ „გულითა ვსვამ"-ს ვერ წაულეკია და იგი ისევ ისე გულ-საკლავად ჩამოკიდებულა. ჩვენი ინტელიგენტ-ორატორები ამბობენ საზოგადოების წინაშე ტკბილ, მგრძნობიარე, მოსაწონ სიტყვას, რომელსაც აგვირგვინებენ ღვინის, მაშვრალის ოფლის, გულიანად მირთმევით და მარტო ეს ხრიკიც საკმაოდ ხდება, რომ ყველამ ტაში დაუკრას. მეტი შრომა და შეწუხება მაშ რაღა საჭიროა!..

..."იმ ფესვს-კი, რომელსაც მიწის მუშა ეწოდება, ხშირად ვერც-კი ვხედავთ. აი თუ გინდა დღესაც, აქ ჩვენთან ერთი მათგანიც არ არის, მაგრამ, მათი ნაკურთხი მარჯვენა-კი აქ ჩვენ წინ, ჩვენ სუფრაზე ძევს; „პური და ღვინო ახარებს გულსა კაცისასაო". ჩვენც დღეს ვმხიარულებთ ამ პურ-ღვინით და ეს სიხარულის მიზეზი, იმ მუშების, იმ დაბალ წოდების მეოხება, რომელიც ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს და ისე ვუვლიდეთ, როგორც კეთილი მებაღე ვუვლის ხე-ხილს. მაშ, გაუმარჯოს იმ ჩვენ ღარიბ და ქვედა საფეხურზე მდგომარე მოძმეებს და მათთან ერთად იმათაც, ვინც იმათ არ ივიწყებს!!!. მთელი ეს ტირადა სიტყვასიტყვით იმისთვის მოგიყვანე, მეგობარო, რომ იგი საუცხოვო ნიმუშია დღევანდელის საზოგადო მოღვაწეთა დასახასიათებლად, რადგან მთელი ამათი მოღვაწეობა ამ სიტყვებს ვერ გადასცილებია. ამ სადღეგრძელოს ღირსეულად აკუთნებენ ერთ წინამძღოლს, რომელიც ზრუნავს ბატონობა დაჩვეულთა გარდა, წვრილფეხა აზნაურებისთვისაც და, მაშასადამე, რომელიც წინ უძღვის მარტო დიდს და პატარა თავად-აზნაურობას. თუ კაცს ნამდვილის სიყვარულით უყვარს თავისი ერი, იგი ერთის მზრუნველობით უნდა ჰზრუნავდეს მისთვის და უპირატესობას არ აძლევდეს რომელსამე წოდებას... იმას საგნად უნდა ჰქონდეს საერთო კეთილდღეობა. მაგრამ როდესაც საზოგადო მოღვაწედ წოდებული გამოდის, მუშის-გლეხის მეოხებით ხართალალოს ჰმართავს, სადღეგრძელოებს-კი სულ სხვების წინამძღოლისას მიირთმევს და ამ მუშას თვალითაც-კი არა ნახულობს, მაშინ ამ გვარის მოღვაწისა რაღა ვიწამოთ?... მიუტევებელი ცოდვაა, როცა კეთილ მოღვაწეს ახსოვს მუშა ხალხის არსებობა, ვალი იმისის მოვლისა, მაგრამ იგი სხვისთვის სრულიად უსარგებლოდ, მხოლოდ თავისის თავის დატკბობად, ასე უბრალოდ ანადგურებს მუშის ტანჯვით მონაწურს ოფლს. „პური და ღვინო ახარებს გულსა კაცისასაო". შრომის შემდეგ ნაშრომით დატკბობა დიდ ნეტარებაა კაცისთვის, მაგრამ, როდესაც ჩემს ნაშრომს შენ ამტუტებ, მე გული მეწვის, შენ-კი სინიდისი უნდა გტანჯავდეს და თუ სიამოვნებ ამ ჩემის ოფლით, ეს უსინდისობაა...

გათახსირებულია, ერთ ფერია, მეგობარო, ეს ჩვენი ცხოვრება. ჩვენი სულიერი არსებობა ერთობ სუსტია, ამას ფართო ასპარეზი ვერ გამოუკვლევია და ფრთა ვერ გაუშლია. ჩვენის ასეთის სისუსტის შედეგია „ისტორიულ-ოფოფიზმობის", „ალიარ-მალიარიზმობის" და ათას ამ გვარ „მწვალებლობის" დაბადება. ყველა თავისას გაიძხის, ერთი მეორეს მატყუარას ეძახის და ვერ გაგიგია, რომლის მწვალებელის სიბრძნეს დაუჯეროთ. მწერლობის საგნად გარდაქცეულა „მე" და უშველებელი ტრაქტატები ამ „მე"-ზედ შესახებ ავსებს ჟურნალ-გაზეთებს. „მესამე დასი ყველაფერს უარს ჰყოფსო." ასეც უნდა იყოს. სამართალი მოითხოვს, ამ მწვალებლებმა თავისი თავი თვითვე ჰყონ უარი, რადგან მათი ქცევა ცხოვრების აწინდელ მიმდინარეობას ხელს უშლის. ხოლო მესამე დასმა ყველაფრის უარყოფასთან ერთად თავისს მოქმედების ასპარეზად მარტო ქალაქები და ჟურნალ-გაზეთები არ უნდა გაიხადოს, არამედ გაიხსენოს თავისი ერის მეორე ნახევარი, რომელიც საშინელს შავბნელს მოუცავს და რომელსაც სწორე ნაბიჯი ვერ გადუდგავს, ამ ნახევარს ამოუდგეს გვერდში, წაეშველოს და არ უცადოს იმ დროს, როდესაც შიმშილი, ათასი შეჭირვება მას უკიდურესს მდგომარეობაში ჩააგდებს, ამძვინვარებულ მხეცად გარდააქცევს და მიუსევს დანარჩენთ. რას მოიტანს ეს არეულობა? მარტო სისხლის ღვრას, სიძულილსა და დაჰბადავს ახალს მდიდრებს, ახალს საწყლებს. შეგნება ზნეობრივის ვალისა ჰბადავს ბედნიერებას, ამისთვის-კი საჭიროა თავგანწირულობა, მსხვერპლი. მაშასადამე ინტელიგენციამ, როგორც მთელის ერის მეთაურმა, ისევე უნდა აიტანოს სოფლის მოწყენილობა, როგორც იტანს ქალაქის სიმხიარულეს და გმირულად დაუხვდეს იმ საკუთარს შეჭირვებას, რომელიც სხვას შეღავათს მისცემს.

შენი ძმა და მეგობარი კაერემენი.

ულოცავს, ერთ ჯადოს უზამს და მთელ მაგათ ლათინ-მათინურს სულ კაფასებს. არა, თუ ეშმაკობა არა აქვთ, ქართულად დასწერონ რაღა წამლები, მაშ კარაბადინს ძალა არა აქვს, ქართულად რომ სწერია? ლუპუსტაცომბენ რაღა, ტყუილ სახელებს უგონებენ, მიქარვა არავინ გაგვიგოსო. მოუგონიათ, თუ ბასილამ, ეს ხორკელის ჰიამ რაღა, ლოთობა არ უყვარს და ვინც არაყს დალევს, იმას ფიქრი არა აქვსო. ბიჭი ველარ დამიყენებია ფეხზელი, ყველანი პიანიკა გავრუშკასავით არყ თ ილექებიან. განა აქ ფილოსოფის ტვინი უნდა, რომ კაცმა გაიგოს, ძაღლის თავი სადაც ჰმარხია: ეგენი „ლეკორჩიკებისაგან“ *) დაქრთამულნი არიან და მუშტარს უჩენენ რაღა. ერთი კიდევ ეს პალიტორები რომ დადიან, ხომ გინახავთ. სამ-ოთხ კაცს თავი აულია, ხან შენ შემოგივარდებიან, ხან მას. მოვა დაუპატიჟებლად, გამარჯობასაც არ ამბობს, მირბის და ფეხისალაგსა ჰსუნავს. თუ ყარსო... ვა, გიჟე!.. ერთი ჰკითხე, ფეხსალაკიდგან იასამან-ნარგიზის სუნი როდის ამოდიოდა, რომ ეხლა ამოვიდეს?.. მოდი და ნუ ეტყვი: თუ, ძმავ, საქმე არა გაქვთ, აჰა, ეს წისქვილის ქვა, მთაწმინდის გორაზედ აიტანეთ, დააგორეთ, მერე ჩამოდით, კიდევ აიტანეთ, კიდევ დააგორეთ. ჰკუას ძალას ატანენ და ფეხსადგილებს დუხებს ასხამენ. მამაჩემს ქკრტიჩასაც სწორედ დუხებში ამოუვიდა აი სული! დუხის სულს რომ გაიგონებდა ცხონებული, მეტყოდა ხოლმე: „კარაპეტ, ფეხისალაგის კარი გაღებულა, მიხურე, ყარსო“, ჰამა ოთხმოც-დარვა წელიწადი იცოცხლა და კიდევ ბევრს იცოცხლებდა, ერთი ქვაბი არტალა რომ არ ეჭამა და კუჭის ანთება არ დაეწყო. ვთქვათ, ილოთე და ღვინომ გული დაგძმარა. მოვა დოხტური, გაგატიტვლებს, პატარა ჩაქუჩით ზურგში დაგიბრახუნებს და პატარა ქაღალდის ნაგლეჯზედ ორს სიტყვას დასწერს. ჰკითხავ, თუ ჰა, რა ზადი მაქვს, ექიმჯან?

— თუ არაფერი, ნაწლავები ცუდად დგასო.

— როგორ თუ დგას, ნაწლავები განა არა ჰკიდია?

— ჰო, თავის დონეზედ არ აწყვიაო.

ერთ სამ მანეთს წაიღებს, ერთ სამ მანეთსაც იმის დაწერილს დურდოში აფთიაქხანა გამოგართმევს. ამბობს, თუ ხვალაც მოვალო. წადი, წადი, ფასა-ფუსა მოჰშალე, შენი ჯანაზობაც დაიქცეს-და!.. მე ვიცი, შვილოსან, ხვალაც მოხვალ, შენ სამი მანეთის მუცლის ტკივილი გაქვს, იმისთვის გეწვის კუჭი, მამავჯან, კარგადა ვხედავ. ეგენი?!.. რაზბონიკები არიან, შუადღისას ხალხსა სცარცვამენ. უზურში სულით-ხორციანად მაგათ ხელში ხარ-და, თუ უნდა, ცოცხალს ტყავს გაგაძრობს, რას უზამ? ველათ ლათინურს სახელს იტყვის და ჩაფუჩეჩდა საქმე. ამ ხოლვერიანობას, ვინცა რჩება, შენა გგონია ეგენი არჩენენ? ვაი, მაგათმა თავის ძზემ! მაშ ამას წინად, რომ ტერტერებმა სურბ იაკობის მკვლავი ქუჩა-ქუჩა ატარეს, იმას ძალა არა ჰქონდა?! ვინცა რჩება, იმის მადლითა რჩება, ვინცა კვდება, დოხტურების ბარობითა კვდება, ეგენი აფშეკინებენ ფეხებს. მაგათ ექიმობისა რა შავი ქვა და ცხელი ნაცარი ცრიან! ფეთხაინის მადლი გამიწყრეს, თუ აი ი ჩვენი ბებია შუშანა მაგათზედ კარგი ჰექიმბაში არ იყოს! ისეთს იახოს გააკეთებს, რომ, თუ წელი გტკივა, მისწრებაა; მუწუკი გაქვს—მალამო შუშანას მოახარშვინე. მივქარამ და დოხტურებთან წავალ?!.

ჰო, ერთხელ კბილი მტკივა, იმის შარანდით თვალი მტეხავს, ისეთი ვარ, ლამის ვირივით ყროყინი დავიწყო. გავტუტუცდი, ექიმთან წავედ. გამსინჯა, პირი გამაღებინა, ხელი მოავლო. თუ პარაშოკები უნდა დალიოო. ვებნები: ჰექიმჯან, სტომაქი კარგი მაქვს, მუცელი არა მტკივა, დღეს ორი ცხვრის თავი მამინელებია, ახარ, პარაშოკის დალევა რად მინდა-და? კბილის წამალი მომეცი, კბილი დამიამდეს. არა, უნდა დალიოო. ბიჭო, წადი შენი ქვეყნის წყალიც დაშრეს და ვინც შენთან მოვიდეს-მეთქი, იმისიც თანა. მივსულვარ დალაქთან, ერთი ჩარექის ფული მიმიცია, კბილი ამომიღებინებია. მაშ არა-და მუცლის წამალს დავლევდი!.. ის დღეა და ეს დღე, დაფიცებული ვარ, ვირზედ შავჯდე, უკუდო ვირზედ და ყანყრატოდგან რომ სული ამომდიოდეს და ჰა, ის იყოს, კბილით მეჭიროს, დოხტურების ფეხი ჩემს სახლში არ შამოუშვა!..

ორ-ანი

1892 წ. 7 აგვისტო

## სასამართლოს მატიანე

ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოებისა და თ. ციციშვილის საქმე.

ხუთშაბათს, 27 ოქტომბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის 1-ს სამოქალაქო დეპარტამენტში განხილულ იქმნა საჩივარი თ. ი. ლ. ციციშვილისა, რომელიც ტფილისის ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოებას ედავება 25,000 მ. მისის დასახიჩრებისათვის.

თ. ციციშვილის რწმუნებულმა, ნაფიცმა ვექილმა გ. ს. ტერ-სტეფანოვმა შეიტანა ტფილისის ოლქის სასამართლოში საჩივარი, რომ 22 სექტემბერს 1892 წ. ჩემი მარწმუნებელი თ. ციციშვილი ცხენის რკინის გზის ორმა ვაგონმა, რომელიც ორის მხრიდგან გაქანებულნი მორბოდნენ, წააქციეს და დაასახიჩრეს. ეს მოხდა, ციციშვილის ვექილის სიტყვით, იმიტომ, რომ როდესაც ციციშვილი ეძახდა ცხენების მმართველს და ვაგონის შეყენებასა სთხოვდა, იმან არ შეაყენა და, ამას გარდა, არც ერთს ვაგონზედ, რომლებიც სისწრაფით მოაქანებდნენ ზარი არ დაურეკიათ. თ. ციციშვილი ისე მძიმედ არის დასახიჩრებული, რომ თითქმის აღარ შეუძლიან საქმე გააკეთოს, მაშინ როდესაც წინად იმდენს საქმეს აკეთებდა, რომ წელიწადში სამას თუმნამდის ფულს იღებდაო. ამიტომ ვექილი თ. ციციშვილისა სთხოვდა სასამართლოს 25,000 მან. გადაეხდევინებინა ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოებისათვის თ. ციციშვილის სასარგებლოდ.

ოლქის სასამართლომ, მოისმინა რა მოწმეთა ჩვენება და მოპირდაპირეთა ლაპარაკი, დაადგინა: უსახელო საზოგადოებას გარდახდეს ი. ციციშვილის სასარგებლოდ 15,000 მან. და დანარჩენი ნაწილი მისის საჩივრისა კი არ იქმნა შეწყნარებულიო.

ამ განაჩენის გამო ორივე მხარემ სააპელაციო საჩივარი შეიტანეს. სამოსამართლო პალატაში საქმის გარჩევის დროს ვექილმა ტერ-სტეფანოვმა სთხოვა სასამართლოს, რომ თ. ციციშვილის სასარგებლოდ 25,000 მ. გადაახდევინეთ ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოებას, რადგანაც მოწმეთა ჩვენებით დამტკიცდა, რომ ციციშვილი წელიწადში იღებდა არა ნაკლებ 2,500 მ., რაც 10 წელიწადში შეადგენს 25,000 მ. ამასთანავე ვექილმა ხელახლავ განიმეორა ყოველი საბუთი, რითაც ამტკიცებდა, რომ ციციშვილის დასახიჩრება სწორედ ცხენების მმართველების ბრალი იყოო. მისი მოწინააღმდეგე ბ-ნი ოპოჩინინი-კი ამტკიცებდა, რომ სწორედ თვით თ. ციციშვილია დამნაშავე, რადგან იმ დროს დააპირა ვაგონზედ ასვლა, როდესაც ორს ვაგონს ერთმანეთის გვერდით უნდა გაევლოთ და ცხენების მმართველს არას გზით არ შეეძლო ამ დროს ვაგონის შეყენებაო. ამის დასამტკიცებლად ოპოჩინინი სთხოვდა პალატას ექსპერტები დაებარებინათ. გარდა ამისა, იგი ამბობდა, რომ ციციშვილი სრულიადაც არ არის ისე დაშავებული, რომ აღარაფრის კეთება არ შეეძლოსო, რადგან ყოველ ცისმარეს დღეს თითონ მოდიოდა სასამართლოში და თითონვე ჰკრებავდა ცნობებს თავისის საქმის შესახებაო. ამასთანავე ციციშვილს რომ რიგიან ექიმებისთვის მიემართა და არა სოფლის მკითხავექიმებისთვის, დასახიჩრება ისე ძალიან არ დაეტყობოდა, როგორც ეხლა ეტყობაო. ამის დასამტკიცებლადაც ოპოჩინინმა სასამართლოს სთხოვა, ექიმი ექსპერტები დაიბარეთო.

ამ საქმის შესახები სამოსამრთლო პალატის განაჩენი 10 ნოემბერს იქმნება გამოცხადებული.

## წერილი ქართულ დრამატიულ საზოგადოების მიმართ

ვინ არ იცის რომ სიღარიბე დიდი დამაბრკოლებელია კაცისათვის. ამ მიზეზმა მე ძლიერ დამაბრკოლა და ჩემს განზრახვას გზა არ მისცა. დიდი ხანია, რაც განვიზრახე ფული შემეკრიბა როგორმე, და კონსერვატორიაში შევსულიყავ მუსიკის შესასწავლად, რადგანაც ბუნებამ უმოწყალოდ არ დამტოვა და სამუსიკო ნიჭი და სიყვარული ჩამინერგა, მაგრამ ყოველმავე ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. ვსთხოვ დრამატიულ საზოგადოებას ითავოს ჩემი თავისის ხარჯით გაგზავნა სასწავლებელში იმ პირობით, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ შემოსავლის ნახევარი მიიღოს ყოველ წარმოდგენიდგან ვალის გასტუმრებამდის. ამასთან სრულს იმედს ვაძლევ, რომ უნაყოფოდ არ ჩაუვლის საზოგადოებას ეს საქმე. ხმის და სმენის შესამოწმებლად ნება ექმნება გამასინჯვინონ მუსიკის კარგს მცოდნეს.

აგრეთვე შეიძლება კერძო შეძლებულმა კაცმა მოისურვოს და ეს საქმე იკისროს და მშობლიური ღვაწლი გამიწიოს იმავე პირობით.

გიორგი ლევანის ძე ყიფიანი

ჩემი ადრესი: ჩუღურეთი, ნიკოლოზის ქუჩა, ქოჩორიანცის სახლი, № 10.

## პეტერბურგის ბირჟა, 28 ოქტომბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,39 | 7,42 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 147 3/4 | 148 1/2 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 240 1/2 |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 220 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 191 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | 101 | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | 99 | — , | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | 101 | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 99 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | 98 1/8 |


# განცხადებანი

ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა, ბ. მ. მირიმანია ისა,

რომლისაგანაც საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება ყოველს საჭირო სამუსიკო იარაღსა ჰყიდულობს.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул.

(24—6.—1)

კბილის ექიმი

**ვ. ი. ჭიჭინაძე**

(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდგან, ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.

რთულის ოპერაციის დროს დაესწრება ექიმი ი. ს. ელიაშვილი.

(50—6.—22)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ სნეულებანი: შინაგანი, ბავშვების და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—11 1/2—12 1/ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი 12 1/2—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი, 1—1 1/ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7 1/2 საათამდის.

ქ. ი. ფრანციუსი, 7—7 1/2 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერი ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)

# ცხოვრება

შვიდთა ყრმათა ეფესელთა

გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბის

ფასი ერთი შაური

ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.

ისყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში: ი. ხეთერელისა და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში ბ. კალანდაძესთან.

განჯაში დ. ქვლივიძესთან.

ახალ-სენაკსა და ოზურგეთში კ. თავართქილაძესთან.

# ქრისტინე

მოთხრობა

ე. ნინოშვილისა

გამოცემული

პ. გოგუაძისა და დ. ქვლივიძის მიერ

ფასი ერთი აბაზი

დაიბეჭდა და ისყიდება

ყველა წიგნის მაღაზიაში

**ოსანა მკითხავი**

მოთხრობა

თავ. იასონ ციციშვილისა

ფასი 15 კაპ.


*) მდაბიო ხალხი სხვა-და-სხვა გვარ არყის მკეთებლებს «ლეკორჩიკებს» ეძახის.

ავტ.

Дозволено цензурою, Тифлисъ 29-го Октября 1894 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა

რედაქტორ გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.